

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

თ ა ვ ი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში – უმაღლესი საბჭო) წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 2. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის სამართლებრივი საფუძვლები

უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის სამართლებრივი საფუძვლებია “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსი (05. 08. 2005 წ. N25; გაზეთი “აჭარა”, 17. 08. 2005 წ. N154)

1. უმაღლესი საბჭოს წევრი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ხმის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობს საკანონმდებლო საქმიანობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაში. (27.02.2013 N N37-უ.ს.რ.ს.)

2. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსი განსაზღვრავს მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის პოლიტიკურ-სამართლებრივ მდგომარეობას, რაც მოიცავს სადებუტატო უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

მუხლი 4. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა (05. 08. 2005 წ. N25; გაზეთი “აჭარა”, 17. 08. 2005 წ. N154)

1. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება უმაღლესი საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე, ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღებისთანავე.

2. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე წყდება “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე.

3. უმაღლესი საბჭო უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილებას ვადემდე შეუწყვეტს, თუ:

ა) არსებობს უმაღლესი საბჭოს წევრის პირადი განცხადება უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე;

ბ) ამოღებულია; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

გ) გარდაიცვალა;

დ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ვ) დაიკავა უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ზ) ამოღებულია; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

თ) არასაკმაყოფილო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს სასესიო (პლენარული და კომისიის სხდომები) მუშაობაში. (17. 09. 2008 წ. N310; გაზეთი "აჭარა", გაზეთი "აჭარა", 20. 09. 2008 წელი N105)

4. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

5. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით, დადგენილებით წყვეტს უმაღლესი საბჭო. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

მუხლი 5. უმაღლესი საბჭოს წევრის მანდატი

1. უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

2. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

3. თავისუფალი მანდატი უმაღლესი საბჭოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 6. უმაღლესი საბჭოს წევრის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

(18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს უმაღლესი საბჭოს წევრის მოწმობა და ატარებს სამკერდე ნიშანს, რომელთა ნიმუშებს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.

მუხლი 7. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა სამსახურებრივ მდგომარეობასთან და სამეწარმეო საქმიანობასთან

1. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან სამეწარმეო ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

2. სამეწარმეო საქმიანობასთან უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. ის შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას.

3. დაუშვებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან სახაზინო დაწესებულებაში. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

4. უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს

ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს ნებისმიერი თანამდებობა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

6. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან 10 დღის ვადაში გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა. (29.12.2009 N 62)

თ ა ვ ი II.

(23. 12. 2008 წ. N19; გაზეთი "აჭარა", 27. 12. 2008 წ. N146)

უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

მუხლი 8. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება
(23.06.2017 N53-უ.ს.რ.ს. ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)

1. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

მუხლი 9. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის საჯაროობა

1. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში ანალიზებს სათანადო ორგანოებიდან წარმოდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ ინფორმაციას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

თ ა ვ ი III.

უმაღლესი საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 10. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რომელიც ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, სხვა კანონებით და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 11. უმაღლესი საბჭოს სხდომებში მონაწილეობა (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

1. უმაღლესი საბჭოს წევრი მონაწილეობს უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს მათზე პასუხი; (05. 08. 2005 წ. N25; გაზეთი "აჭარა", 17. 08. 2005 წ. N154)

დ) გააცნოს უმაღლეს საბჭოს მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;

ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები უმაღლესი საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

ვ) გამოთქვას აზრი უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს, ან რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

ზ) თავი შეიკავოს იმ ნორმატიული აქტების განხილვაში მონაწილეობისაგან, რომლებიც წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში მის მიერ წერილობით დაფიქსირებულ პირად ინტერესებს.

3. უმაღლესი საბჭოს სხდომებში უმაღლესი საბჭოს წევრის მონაწილეობის საპროცედურო საკითხები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

მუხლი 12. უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე არჩევნებში და გაერთიანებათა ფორმირებაში მონაწილეობის უფლება

1. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ, დანიშნულ ან წარდგენილ იქნას უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე, უმაღლესი საბჭოს კომისიის, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან. (17. 09. 2008 წ. N310; გაზეთი "აჭარა", გაზეთი "აჭარა", 20. 09. 2008 წელი N105)

2. უმაღლესი საბჭოს კომისიების, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობაში არჩევისა და ამ ორგანოებიდან უმაღლესი საბჭოს წევრის გამოსვლის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით. (17. 09. 2008 წ. N310; გაზეთი "აჭარა", გაზეთი "აჭარა", 20. 09. 2008 წელი N105)

3. უმაღლესი საბჭოს წევრის ფრაქციაში გაერთიანებისა და ფრაქციიდან გამოსვლის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

მუხლი 13. უფლებამოსილება უმაღლესი საბჭოს მიერ განსახორციელებელი კონტროლის სფეროში

კონტროლის განხორციელებისას უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) ამოღებულია (16.09.2010 N 89)

ბ) კითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, მიიღოს და შეაფასოს პასუხი. შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი ვალდებულია 10 დღის ვადაში უპასუხოს შეკითხვას. შეკითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 10 დღით; (16.09.2010 N 89)

გ) ამოღებულია (16.09.2010 N 89)

გ¹) კანონით დადგენილ ფარგლებში და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელებაში; (05. 08. 2005 წ. N25; გაზეთი "აჭარა", 17. 08. 2005 წ. N154)

დ) შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საკითხი საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმების თაობაზე;

ე) შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისების გარდა; შეუზღუდავად შეხვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებულ და სხვა თანამდებობის პირებს;

ვ) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.

მუხლი 14. უფლება ინფორმაციაზე

(18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;

გ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომათა ოქმებს, აგრეთვე მიიღოს იმ გამოსვლის ტექსტი, რომელიც არ ქვეყნდება. *(12.12.2013 N 91)*

მუხლი 14.¹ ამოღებულია *(16.09.2010 N 89)*

მუხლი 15. უმაღლესი საბჭოს წევრის მოვალეობანი

უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, კანონები და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი; *(05. 08. 2005 წ. N25; გაზეთი "აჭარა", 17. 08. 2005 წ. N154)*

ბ) რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებზე;

გ) უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება;

დ) ხელი შეუწყოს საქართველოს კონსტიტუციის, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ან შესაბამის კომისიას; *(17. 09. 2008 წ. N310; გაზეთი "აჭარა", გაზეთი "აჭარა", 20. 09. 2008 წელი N105)*

ე) იყოს უმაღლესი საბჭოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც, გარდა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი გამონაკლისისა; *(27.02.2013 N N37-უ.ს.რ.ს.)*

ვ) დაესწროს უმაღლესი საბჭოს კომისიის, ფრაქციის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში; *(17. 09. 2008 წ. N310; გაზეთი "აჭარა", გაზეთი "აჭარა", 20. 09. 2008 წელი N105)*

ზ) განაცხადოს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას მისი შეურაცხყოფის ან/და ხელყოფის შესახებ;

თ) არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა პირადი ინტერესებისათვის;

ი) არ გაახმაუროს ან პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია;

კ) დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის დადგენილი ქცევის სტანდარტები.

თ ა ვ ი IV.

უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის ძირითადი გარანტიები

მუხლი 16. უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის გარანტიები

1. უმაღლესი საბჭოს წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას უმაღლეს საბჭოში ან მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება უმაღლესი საბჭოს წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

3. უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს სამსახურებრივი პასპორტით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადით. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

მუხლი 17. უფლებამოსილების შეჩერება დაკავების ან დაპატიმრების პერიოდში

1. უმაღლესი საბჭოს წევრის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში დაკავებულ ან დაპატიმრებულ უმაღლესი საბჭოს წევრს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით შეუჩერდება უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

2. მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს წევრს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით:

ა) აღუდგება სადეკუტატო უფლებამოსილება, თუ არ არის გასული იმ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც არის პირი, და მიეცემა სრული კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) თუ გასულია იმ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იყო პირი, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩათვლება უმაღლესი საბჭოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 18. საქმიანობის შეუფერხებლობა

უზრუნველყოფილია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების პირობები. თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ უმაღლესი საბჭოს წევრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ხელყოფა ემუქრება, უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადებისა და მთავრობის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. შრომითი უფლებების გარანტიები

1. ამოღებულია; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

2. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა ჩათვლება სპეციალობით მუშაობის საერთო უწყვეტ სტაჟში.

3. ამოღებულია; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

4. უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს წელიწადში 30 კალენდარული დღის შვებულებით, რაც მისი სურვილის თანახმად, მიეცემა ზაფხულის ან ზამთრის არდადეგების დროს, მთლიანად ან ორ ნაწილად გაყოფით. (19.09.2007 N 265-უ.ს.შ.ს.)

4¹. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება არა უმეტეს 3 თვისა. აღნიშნულ შემთხვევაში შვებულების თაობაზე უმაღლესი საბჭოს წევრის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ამ პუნქტით გათვალისწინებული შვებულების პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრს არ მიეცემა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება. (19.09.2007 N 265-უ.ს.შ.ს.)

5. ამოღებულია; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

მუხლი 20. ამოღებულია (18. 10. 2006 წ. N224; გაზეთი "აჭარა", 26. 10. 2006 წ. N200)

მუხლი 21. ამოღებულია; (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

მუხლი 22. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მატერიალური უზრუნველყოფა (05. 08. 2005 წ. N25; გაზეთი "აჭარა", 17. 08. 2005 წ. N154)

1. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასი მოიცავს კანონით დადგენილ თანამდებობრივ სარგოს და უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ სადეკუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხას. ხელფასის გაცემა იწყება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან და მთავრდება (ჩერდება) შესაბამისი მოწვევის უმაღლესი საბჭოს ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე (შეჩერებისთანავე). (23.06.2017 N53-უ.ს.რ.ს. ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან)

2. უმაღლესი საბჭოს წევრს ეძლევა ფულადი კომპენსაცია სადეკუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

3. უმაღლესი საბჭოს წევრთა საბინაო უზრუნველყოფის საკითხებს არეგულირებს უმაღლესი საბჭოს ბიურო, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

4. უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 23. ამოღებულია (19.09.2007 N 265-უ.ს.შ.ს.)

მუხლი 24. დახმარება უმაღლესი საბჭოს წევრის დალუპვისას ან დაინვალიდებისას

1. უმაღლესი საბჭოს წევრზე თავდასხმის შედეგად მისი დალუპვისას დალუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. დალუპული იკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც დაინვალიდდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებში, ეძლევა დახმარება:

ა) შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას – 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

ბ) შრომისუნარიანობის სრულად დაკარგვისას – 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

3. უმაღლესი საბჭოს წევრის დალუპვის (გარდაცვალების) შემთხვევაში მის არასრულწლოვან შვილს (შვილებს) და კმაყოფაზე მყოფ ან შრომისუნარო მეუღლეს

ენიშნება პენსია დანიშვნის მომენტისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასის (თანამდებობრივი განაკვეთის) სრული ოდენობით, თითოეულს თანაბარი პროპორციით.

მუხლი 25. უმაღლესი საბჭოს წევრის უზრუნველყოფა სამუშაო პირობებით

1. უმაღლესი საბჭოს წევრს სადეპუტატო საქმიანობის განსახორციელებლად უმაღლესი საბჭოს შენობაში გამოეყოფა სამუშაო ფართი და საჭირო აღჭურვილობა. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

2. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის ხარჯები ანაზღაურდება უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

3. ამოღებულია. (18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

მუხლი 26. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი

1. უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრის სავალდებულო სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2. საომარი მდგომარეობის პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს თავი აარიდოს სადეპუტატო საქმიანობას საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მიზნით.

თ ა ვ ი V.

უმაღლესი საბჭოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან

მუხლი 27. ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზება

(18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატებს ამომრჩევლებთან ურთიერთობის ორგანიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტის მიზნით ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები.

მუხლი 28. ამომრჩევლებთან ურთიერთობის უზრუნველყოფა

(18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)

1. ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისას უმაღლესი საბჭოს წევრი, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, უმაღლესი საბჭოს წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ იგი სამუშაო ოთახით, ადმინისტრაციულ საზღვრებში გადასაადგილებლად სატრანსპორტო საშუალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, მათ შორის სამთავრობო კავშირით.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილებზე უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფასთან, ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.”.

თ ა ვ ი VI.

პასუხისმგებლობა უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევისათვის

მუხლი 29. პასუხისმგებლობა უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევისათვის

1. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, ხოლო თავისი უფლებების გადამეტება ან მათი ბოროტად გამოყენება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს მთელი უფლებამოსილების პერიოდში, ამ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, მიუხედავად მისი გამოვლენის დროისათვის არსებული მდგომარეობისა (შეუთავსებელი სამსახურის ან საქმიანობის შეწყვეტა), უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

**მუხლი 30. პასუხისმგებლობა მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის ან საქმიანობის განხორციელების ხელის შეშლისათვის
(18. 06. 2008 წ. N299; გაზეთი "აჭარა" 24. 06. 2008 წელი N67)**

თანამდებობის პირების, სახელმწიფო ორგანოების სხვა მოსამსახურეების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ხელმძღვანელთა მიერ უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან ამ საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით."

მუხლი 31. პასუხისმგებლობა ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის, ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებისათვის

უმაღლესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობის ხელყოფა, შეურაცხყოფა ან ცილისწამება, მისი ოჯახის წევრებზე და ახლო ნათესავებზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედება დეპუტატის მიერ სადეპუტატო საქმიანობის შეწყვეტის ან მისი ხასიათის შეცვლის მიზნით, ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**თ ა ვ ი VII.
დასკვნითი დებულებანი**

მუხლი 32. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე**

ლევან ვარშალომიძე

ქ. ბათუმი,
2004 წლის 14 სექტემბერი
N84